


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

		თეთლი:1 GEL ერთეთლი:1 GEL		შენ.
		საანგარიშგებო თარიღი		
		31.12.2023	31.12.2022	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		793730	181136	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		1612	53843	3.2
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები		188286	3045001	3.3
		28709485	11216248	
მარაგები				
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა		28709485	11216248	3.4
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები		60403	644255	
ბიოლოგიური აქტივები				
გუდვილი		9004997	10130622	
სხვა არამატერიალური აქტივები		7444	8271	
ძირითადი საშუალებები		654464	95500	3.5
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები		39420421	25374876	
ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები		7111961	9029119	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		990	292	
საგადასახადო ვალდებულებები		56561		
გამოუმუშავებელი შემოსავალი		24032083	8098645	3.6
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები		1664	285	3.7
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები		86104	199304	3.7
სხვა ვალდებულებები		870		
სულ ვალდებულებები		31290233	17327646	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი		8130188	8047230	
სულ საკუთარი კაპიტალი		8130188	8047230	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		39420421	25374876	
სულ მოკლევადიანი აქტივები		29753516	15140483	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		31203259	17128341	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.02.2025 წ.

დირექტორი:  გიორგი ასათიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

საქმიანობის შედეგები

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

(1 ლარი)

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

	საანგარიშ შეგებო	საანგარიშ გებო
	2023	2022
ნეტო ამონაგები	5815074	8987064
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან		
- მომსახურების გაწევიდან	5815074	8987064
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
- სხვა ამონაგები		
გაყიდვების თვითღირებულება	-3909950	-3707679
საერთო მოგება	1905124	5279385
სხვა საოპერაციო შემოსავალი	5936	10990
დასაქმებულთა ანაზღაურება	-55564	-36430
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-1175774	-33874
საპროცენტო შემოსავალი	769642	-6821
საპროცენტო ხარჯი	-756007	-53774
იჯარის ხარჯი	-20339	-20339
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-218635	-314104
სულ საოპერაციო ხარჯები	-1450741	-454351
საოპერაციო მოგება	454383	4825034
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა		
მ.შ. - ფინანსური აქტივების		
- მარაგების		
- სხვა არაფინანსური აქტივების		
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	169895	1351201
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-583149	-248
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	41129	6175986
მოგების გადასახადის ხარჯი		
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	41129	6175986
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზერვი		
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)		
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	41129	6175986
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	8047230	3230048
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	41829	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები		-213314
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	8130188	9192720

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.02.2025 წ.

დირექტორი: _____ გიორგი ასათიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის
(1 ლარი)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული

	საანგარიშგებო პერიოდი	საანგარიშგებო პერიოდი
	2023	2022
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	643535	7976914
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	81340	(5502132)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(111582)	(2748146)
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	613293	-273364
სავალუტო კურსის ეფექტი	(699)	(4643)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	181136	459143
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	793730	181136

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 21.02.2025 წ.

დირექტორი: _____ გიორგი ასათიანი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს „ნექსტდორი“-ს კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „ნექსტდორი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დაფუძნებულია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით: 402170538. კომპანია რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ზურაბ საკანდელიძის ქუჩა, N16, თუმცა მისი ფაქტობრივი მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილი არის საქართველო, თბილისი, მაჩაბლის ქ.12

1.2. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მფლობელთა სტრუქტურა ასეთია:

01026006849, ნიკოლოზ გონგლიაშვილი	100%
სულ	100.00%

1.3. კომპანიამ 06.10.2020წ. შეიძინა შპს „ჰოვერის“ (საიდენტიფიკაციო ნომერი-405287032) 100.00%-ანი წილი, დააფუძნა შპს 10.11.2020წ. შპს ორბეთი (საიდენტიფიკაციო კოდი - 405422403) და ფლობს აღნიშნული კომპანიის 100.00%-ანი წილს, ხოლო 28.10.2021წ. შეიძინა შპს „გელოვანის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 405287032) 100.00%-ანი წილი. ასევე კომპანიამ 24.11.2022 წელს შეიძინა შპს „წყნეთი გარდენსის“ (საიდენტიფიკაციო კოდი - 402237735) - შემდგომში ერთობლივად წოდებული, როგორც ჯგუფი.

1.4. კომპანიის დირექტორია გიორგი ასათიანი, (პ.ნ. 01024023497)

1.5. ჯგუფის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა, ასევე საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართების მშენებლობა/რეალიზაცია.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში ჯგუფი შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, ჯგუფის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.5. ჯგუფის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება პროდუქციის გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ჯგუფის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშდება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯებით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს ჯგუფისთვის წარმოადგენს ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად.

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.6. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). ჯგუფის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოუშვებთ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018-2019-2020-2021-2022 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.7. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის ჯგუფის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.8. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2.7020 ლარი;

1 EUR = 2.8844 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD = 2.6894 ლარი;

1 EUR = 2.9753 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში		
ფული საბანკო ანგარიშებზე/ოვერდრაფტი	793730	181136
ბანკის მიერ დაგირავებული თანხები		
სულ:	793730	181136

ჯგუფს ანგარიშები გახსნილი აქვს საქართველოს რამოდენიმე კომერციულ ბანკში სს „თიბისი ბანკი“, სს „საქართველოს ბანკი“.

3.2. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ბინების რეალიზაციის შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნები	28709485	53843
სულ:	28709485	53843

3.3. ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სამშენებლო მომსახურების ავანსი	188286	2341148
		703853
სულ:	188286	3045001

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სარეალიზაციოდ განკუთვნილი ბინები		4304727
მზა პროდუქცია		
დაუმთავრებელი მშენებლობა	6911521.06	6911521
სულ:	6911521	11216248

3.5. ძირითადი საშუალებები:

	შენიშნუ ი	ავიჯი	მსუბუქ ი ავტომო ბილები	კომპიუ ტერული ტექნიკა	სხვა	სულ
ისტორიული ღირებულება						
1 იანვარი 2022		63 324	25 167	56 281	17 502	162 274
შემენა				7 231		7 231
ჩამოწერა						-
31 დეკემბერი 2022	-	63 324	25 167	63 512	17 502	169 505
შემენა	605 884			965	1 438	2 402
ჩამოწერა						-
31 დეკემბერი 2023	605 884	63 324	25 167	64 477	18 940	777 792
დაგროვილი ცვეთა						
1 იანვარი 2022		(15 831)	(6 292)	(14 070)	(3 938)	(40 131)
დარიცხვა		(12 665)	(5 033)	(12 676)		(30 374)
ჩამოწერა		(3 500)				(3 500)
31 დეკემბერი 2022		(31 996)	(11 325)	(26 746)	(3 938)	(74 005)
დარიცხვა	(15 333)	(12 665)	(5 033)	(12 719)	(3 573)	(33 989)
ჩამოწერა						-
31 დეკემბერი 2023	(15 333)	(44 661)	(16 358)	(39 464)	(7 511)	(123 328)
წმინდა საბალანსო ღირებულება						
1 იანვარი 2022	-	47 493	18 875	42 211	13 564	122 143
31 დეკემბერი 2022	-	31 328	13 842	36 766	13 564	95 500
31 დეკემბერი 2023	590 551	18 663	8 808	25 012	11 429	654 464

3.6. გამოუმუშავებელი შემოსავალი:

3.6. გამოუმუშავებელი შემოსავალი		
	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
მიღებული ავანსები ბინების რეალიზაციიდან	8098644.71	8098645
სულ:	8098645	8098645

3.7. სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
სს "თიბისი ბანკი" (მიმდინარე ნაწილი)		
სს "თიბისი ბანკი" (გრძელვადიანი ნაწილი)		
სესხი სხვა რეზიდენტი პირებისგან (მოკლევადიანი ნაწილი)	285	285
სესხი სხვა რეზიდენტი პირებისგან (მოკლევადიანი ნაწილი)	86103.92	199304
სულ:	86389	199589

3.8. სასამართლო დავები

ჯგუფს 2023 წლის განმავლობაში სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.9. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2023 წელს, ჯგუფს არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.